

26 ეხ 2017



# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2388 2017 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „რუსთავი ჯგუფს“ და შპს „რუსმეტალს“  
შორის 2015 წლის 3 თებერვალს დადებული ურთიერთგაგების  
მემორანდუმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია შპს „რუსთავი ჯგუფის“ მიერ „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ შესაბამისი აუდიტორული დასკვნის წარდგენის თაობაზე.
2. მოწონებულ იქნეს თანდართული „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები“ (სააუქციონო პირობები).
3. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ღია აუქციონის (ინტერესთა გამოხატვის) გამოსაცხადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული სააუქციონო პირობების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი